სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 20

ქ. თბილისი 15 თებერვალი 2018 წ.

2018 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

"სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, სამსახურებრივი ბარათის (N162838, 14.02.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2018 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს 2018 წლის კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს 2018 წლის კონკურსის საგრანტო პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
6. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

დანართი 1
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 15 თებერვლის №20 ბრძანებით

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში - ფონდი) და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (შემდგომში - DAAD) ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის (შემდგომში - პროგრამის) საგრანტო კონკურსის პირობები (შემდგომში - პირობები) არეგულირებს ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის (შემდგომში - საგრანტო კონკურსი) გამართვის წესს, საგრანტო პროექტების შეფასებისა და მონიტორინგის საკითხებს.
2. საგრანტო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებსა და დოქტორანტებს:

   ა) სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და ხარისხიანი სადოქტორო განათლების მიღებაში;
   ბ) საუკეთესო სამეცნიერო პრაქტიკის გაზიარებითა და საერთაშორისო გაცვლის პროცესების გაუმჯობესების გზით გერმანელ კოლეგებთან ერთად სამეცნიერო ქსელის შექმნაში;
   გ) თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებაში.
3. საგრანტო კონკურსი ფინანსდება საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი და DAAD ერთობლივად.
4. საგრანტო კონკურსის ფარგლებში ფინანსდება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს:
   ა) **ახალგაზრდა მეცნიერების** (საქართველოს მოქალაქე, რომლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 12 წელი) გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან/და კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას;
   ბ) **დოქტორანტების** გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან/და კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას;
   გ) **ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების** გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან/და კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას;

5. საგრანტო კონკურსი მოიცავს DAAD-ის კლასიფიკატორის შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:

   ა) ენები და კულტურის კვლევები;
   ბ) სამართალი, ეკონომიკა და სოციალური მეცნიერებები;
   გ) მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
   დ) მედიცინა;
   ე) ვეტერინარული მედიცინა, მეტყევეობა, ეკოლოგია, აგრარული და კვების მეცნიერებები;
   ვ) ინჟინერია;
   ზ) ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის მეცნიერებები.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. პროექტის განმცხადებელი უნდა იყოს ახალგაზრდა მეცნიერი, დოქტორანტი ან ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი;

2. პროექტის ხანგძლივობაა:

ა) **ახალგაზრდა მეცნიერის** მიერ წარდგენილი პროექტებისათვის - არანაკლებ 4 თვე და არაუმეტეს 6 თვე;

ბ) **დოქტორანტის** მიერ წარდგენილი პროექტებისათვის - 3 თვე;

გ) **ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების** მიერ წარდგენილი პროექტებისათვის - 6 თვე;

3. პროექტი ითვალისწინებს:

ა) **ახალგაზრდა მეცნიერთა** - არაუმეტეს 15 პროექტის დაფინანსებას;

ბ) **დოქტორანტების** - არაუმეტეს 9 პროექტის დაფინანსებას;

გ) **ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების** - არაუმეტეს 6 პროექტის დაფინანსებას;

4. კომისიის რეკომენდაციითა და ფონდისა და DAAD ერთობლივი გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, ამ მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის ცვლილება.

5. კვლევითი სტაჟირება უნდა განხორციელდეს **2018 წლის 15 მაისიდან 15 ნოემბრამდე** პერიოდში.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. გრანტის ფარგლებში მოთხოვნილი თანხა შეიძლება მოიცავდეს:

ა) ყოველთვიურ სტიპენდიას;

1) ახალგაზრდა მეცნიერისთვის 2000 ევროს ექვივალენტი ლარში;
2) დოქტორანტისთვის - 1000 ევროს ექვივალენტი ლარში;
3) ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებისთვის - 1000 ევროს ექვივალენტი ლარში;

ბ) ახალგაზრდა მეცნიერის, დოქტორანტის და ერთობლივი პროგრამის დოქტორანტის მგზავრობის ხარჯებს - არაუმეტეს 575 ევროს ექვივალენტი ლარში;

გ) დოქტორანტის და ერთობლივი პროგრამის დოქტორანტის დაზღვევის ხარჯებს - ყოველთვიურად არაუმეტეს 80 ევროს ექვივალენტი ლარში;

დ) ერთობლივი პროგრამის დოქტორანტის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის მგზავრობის ხარჯებს - არაუმეტეს 637,5 ევროს ექვივალენტი ლარში.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია შედგება ორი ნაწილისაგან, DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში ასატვირთი დოკუმენტებისგან და ფონდის კანცელარიაში წარმოსადგენი დოკუმენტებისგან.
2. DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში ასატვირთი დოკუმენტები მოიცავს:

1. ახალგაზრდა მეცნიერთათვის:

ა) საკონკურსო განაცხადის ფორმა (ივსება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში);

ბ) CV (არაუმეტეს 3 გვერდი; იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

გ) პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 3 გვერდი; იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

დ) კვლევითი პროექტი (არაუმეტეს 4 გვერდი; იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

ე) გეგმა-გრაფიკი (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

ვ) ახალგაზრდა მეცნიერის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

ზ) ახალგაზრდა მეცნიერის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

თ) მასპინძელი მხარის თანხმობის წერილი, რომელიც ადასტურებს სამეცნიერო თანამშრომლობასა და სტაჟირების ადგილის გამოყოფას განმცხადებლისათვის (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში).

2. დოქტორანტებისთვის:

ა) საკონკურსო განაცხადის ფორმა (ივსება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში);

ბ) CV (არაუმეტეს 3 გვერდი; იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

გ) პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 3 გვერდი; იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

დ) კვლევითი პროექტი (არაუმეტეს 4 გვერდი იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

ე) გეგმა-გრაფიკი (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

ვ) დოქტორანტის ცნობა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ, სასწავლო სემესტრისა და დოქტორანტის წინა სასწავლო სემესტრის/სემესტრების აკადემიური მოსწრების მითითებით (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

ზ) დოქტორანტის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

თ) მასპინძელი მხარის წარმომადგენელის თანხმობის წერილი, რომელიც ადასტურებს მზაობას უხელმძღვანელოს დოქტორანტს გერმანიაში და გამოყოს მისთვის სტაჟირების ადგილი (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

ი) სარეკომენდაციო წერილი გაცემული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის ან მოწვეული ლექტორის მიერ (პროექტთან ერთად კონვერტით უნდა ჩაბარდეს DAAD-ის საინფორმაციო ცენტრის თბილისის ოფისში).

3. ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებისათვის:

ა) სააპლიკაციო ფორმა (ივსება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში);

ბ) CV (არაუმეტეს 3 გვერდი; იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

გ) პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 3 გვერდი; იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

დ) კვლევითი პროექტი ხელმოწერილი ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მიერ (არაუმეტეს 4 გვერდი; იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

ე) გეგმა-გრაფიკი ხელმოწერილი ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მიერ (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

ვ) დოქტორანტის ცნობა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ, დოქტორანტის ხელმძღვანელის, აგრეთვე, სასწავლო სემესტრისა და დოქტორანტის წინა სასწავლო სემესტრის/სემესტრების აკადემიური მოსწრების მითითებით (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

ზ) დოქტორანტის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

თ) თანახელმძღვანელის თანხმობის წერილი, რომელიც ადასტურებს მზაობას უხელმძღვანელოს დოქტორანტს გერმანიაში და გამოყოს მისთვის სტაჟირების ადგილი (იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში PDF ფორმატში);

ი) სარეკომენდაციო წერილი გაცემული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის ან მოწვეული ლექტორის მიერ (პროექტთან ერთად კონვერტით უნდა ჩაბარდეს DAAD-ის საინფორმაციო ცენტრის თბილისის ოფისში);

3. კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი ყველა ქართული დოკუმენტი უნდა იყოს თარგმნილი და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ გერმანულ ან ინგლისურ ენაზე.

4. DAAD-ის ელექტრონული ბაზიდან დაგენერირებული პროექტი და სარეკომენდაციო წერილი უნდა ჩაბარდეს DAAD-ის საინფორმაციო ცენტრის თბილისის ოფისში ორ-ორ ეგზემპლიარად;
5. ფონდის კანცელარიაში წარმოსადგენი დოკუმენტები **ახალგაზრდა მეცნიერებისათვის, დოქტორანტებისა** და **ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისათვის** მოიცავს:

   ა) კვლევითი პროექტი ქართულ ენაზე;
   ბ) პროექტის ბიუჯეტი ქართულ ენაზე (დანართი 2);
   გ) განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 3).

მუხლი 5. კონკურსზე განაცხადების რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტების ატვირთვა და პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში **2018 წლის 19 მარტის ჩათვლით.**
2. DAAD-ის ელექტრონული ბაზიდან დაგენერირებული პროექტის და სარეკომენდაციო წერილის წარდგენა DAAD-ის საინფორმაციო ცენტრის თბილისის ოფისში ორ-ორ ეგზემპლიარად არაუგვიანეს **2018 წლის 20 მარტის ჩათვლით.**
3. კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების, კვლევითი პროექტის და პროექტის ქართული ბიუჯეტის წარდგენა უნდა მოხდეს ფონდის კანცელარიაში **21 მარტის 16:00 სთ.- მდე** (განცხადების ჩამოტვირთვა უნდა მოხდეს DAAD-ის ელექტრონული ბაზიდან ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდის შესაბამისი ბმულიდან - დანართი 2);
4. ფონდის კანცელარიაში წარსადგენი განცხადება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ხელმოწერით/ხელმოწერებით.
5. კონკურსის პირობებით დადგენილი ვადის დარღვევის, ან მოთხოვნილი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პროექტები არ განიხილება.
6. ფონდი და DAAD უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც შეიცავს არასრულ ან ყალბ ინფორმაციას.
7. ფონდი და DAAD არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 6. პროექტების შეფასება

პროექტების შეფასება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის N 62/ნ ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7. ანგარიშგება და მონიტორინგი

1. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანში გრანტის მიმღებს DAAD-ს მიერ გადაერიცხება ავანსის სახით. გრანტის მიმღების მიერ, შესაბამისი ანგარიშის DAAD-ისთვის წარდგენის საფუძველზე ხორციელდება დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი, რომელიც მოიცავს პროექტის ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, გრანტის მიმღებისთვის გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
3. მონიტორინგის მიზნებისათვის, გრანტის მიმღების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
4. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ბიუჯეტი ითვალისწინებს სრული თვის სტიპენდიის ოდენობას, ხოლო სტაჟირების ფაქტიურმა პერიოდმა შეადგინა არასრული თვე, გრანტის მიმღებს აუნაზღაურდება მთლიანი თვის სტიპენდია. არასრული თვის შემთხვევაში, სტაჟირების ფაქტიური

პერიოდი უნდა იყოს მინიმუმ ორი კვირა. ორ კვირაზე ნაკლები ვადის შემთხვევაში, სტიპენდია არ ანაზღაურდება.

5. პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას DAAD ეყრდნობა გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან კვლევით ინსტიტუტის მიერ გაცემულ წერილობით ინფორმაციას გრანტის მიმღების მიერ გავლილი სტაჟირების შესახებ. გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან კვლევით ინსტიტუტის წერილში მითითებული უნდა იყოს სტაჟირების დაწყებისა და დასრულების თარიღები.
6. ანგარიშების განხილვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, DAAD ვალდებულია, ფონდს მიაწოდოს ინფორმაცია გაწეული ხარჯებისა და შესრულებული აქტივობების შესახებ ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.
7. DAAD-ის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

   ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება შესაბამის ხარჯვით კატეგორიას;

   ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება გრანტის გამცემთა მიერ მითითებულ ანგარიშზე დაბრუნებას;

   გ) ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება გრანტის გამცემის მიერ მითითებულ ანგარიშზე დაბრუნებას.
8. გრანტის მიმღები ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს კონკურსის შემაჯამებელ წლიურ კონფერენციაში და წარმოადგინოს მოხსენება სტაჟირების პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

მუხლი 8. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის N 62/ნ ბრძანების მე-12 მუხლის შესაბამისად.

დანართი 2
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 15 თებერვლის N20 ბრძანებით

საგრანტო პროექტის ბიუჯეტი

გრანტის მიმღები:

№	ხარჯვის კატეგორია	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევრო)	DAAD-დან მოთხოვნილი თანხა თანხა (ევრო)	სულ პროექტის ბიუჯეტი
1	სტიპენდია			0
2	დაზღვევა			0
3	საერთაშორისო ორმხრივი მგზავრობის ხარჯი			0
4	ერთობლივი პროგრამის დოქტორანტის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის მგზავრობის ხარჯები			0
	სულ:	0	0	0

შენიშვნა: პროექტის ბიუჯეტში ფონდიდან და DAAD-დან მოთხოვნილი თანხა უნდა იყოს თანაბარი.

დანართი 3
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 15 თებერვლის №20 ბრძანებით

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ გავეცანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის №62/ნ ბრძანებას და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 14 თებერვლის №18 ბრძანებას სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის პირობებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ. როგორც წინამდებარე პროექტის წარმომდგენი, ვაცხადებ თანხმობას მონაწილეობა მივიღო კონკურსში ზემოხსენებულ დოკუმენტებში დადგენილი პირობების დაცვით. ამასთანავე, ვაცნობიერებ, რომ კონკურსის მიზნებისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამო, არასრული, ან ყალბი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან. **ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი პროექტი არ არის უკვე განხორციელებული ჩემი, ან დისერტაციის ხელმძღვანელის მიერ რომელიმე (ეროვნული/საერთაშორისო) დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით და წარმოდგენილი პროექტი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.**

ვადასტურებთ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია, შეესაბამება დადგენილ ფორმებს და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვაცნობიერებ, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას განაცხადი კონკურსში მონაწილეობიდან.

1. დოქტორანტის/ახალგაზრდა მეცნიერის სახელი, გვარი:
2. პროექტის სათაური:
3. დოქტორანტის დისერტაციის ხელმძღვანელის (თუ გრანტის მაძიებელი დოქტორანტია) სახელი, გვარი:
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:
5. პროექტის ხანგრძლივობა:

დოქტორანტის/ახალგაზრდა მეცნიერის ხელმოწერა: _____

დისერტაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა (თუ გრანტის მაძიებელი დოქტორანტია):
_____

თარიღი: _____